№ 187
სამშაბათი, 1 სექტემბერი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 187
სამშაბათი, 1 სექტემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია"
ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

**პირველი კერძო სამკურნალო**
**ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის, ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ, შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს. ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

# ქუთაისში

ი. ოცხელის სასწავლებელში
და საყმაწვილო ბაღში სწავლა დაიწყება 1 ს ენკენისთვეს.
(2—130—2)

**1898 წლის სექტემბრის ხუთს გაიცემა იჯარით**

# აბანოს წყლები,

რომელიც მდებარეობს ქუთაისის მაზრის სოფ. კურსებში, გელათის მონასტრის მახლობლად, ქუთაისიდგან 11 ვერსის მანძილზედ.

ვაჭრობა მოხდება კურსების სასოფლო კანცელარიაში. აბანო ცხრა წლის ვადით გაიცემა. (3—6.—2)

# კბილის ექიმი
# ა. ე. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ,—6)

# ახალი ამბავი

*** ამ დღეებში საქართველოს საეპარქიო საბჭოს თხოვნა მიურთმევია მათის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანესთვის, რომ დამტკიცებულ იქმნას ამა საბჭოს თავმჯდომარედ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჰერმოგენი, რომელიც დროებით ამ თანამდებობას ასრულებს, ხოლო საბჭოს წევრად ამავე სემინარიის ინსპექტორი, არხიმანდრიტი დიმიტრი.

*** სიონის ეკლესიის სიძველეთსაცავში მოიპოვება ერთი უძველესი სახარება, რომლის გამოცემაც განუზრახ ვთ. ეს სახარება ჩვენის ახალგაზრდა პროფესორის ა. ხახანაშვილის წ ნასიტყვაობით დაიბეჭდება. უპატივცემული ეპისკოპოსი ალექსანდრე ამ სახარების გამოსაცემად 1,000 მან. შეჰპირებია ბ-ნს ხახანაშვილს.

*** გუშინ დეპეშით აუწყეს გუბერნატორს, რომ 29 აგვისტოს ბორჩალოს მაზრაში შულავერიდგან ექვსის ვერსის მანძილზე ალაიბექ მურსაკულოვს ავაზაკთა ბრბომ მრავალნი მგზავრნი გაძარცვა გზაში და შემდეგ გაიქცნენ. ავაზაკებს მაზრის პოლიციელები და ყაზახები დაედევნენ შესაპყრობლად, მაგრამ ჯერაც ვერ უპოვნიათო.

*** ქალაქის გამგეობას 1899 წ. ხარჯთ აღრიცხვით ქალაქის გარშემო ტყის გასაშენებლად გადაუდვია სამეურნეოდ 2,567 მან., მხოლოდ ქუჩებში ხეების დასარგველად—1,300 მან.

*** ბურბონელი პრინცი დონ ხაიმე გუშინ ტფილისიდგან ბორჯომს გაემგზავრა. პრინცი იქიდგან ვარშავას წავა.

*** საგუბერნიო ექიმი ტ. ს. ქიქოძე გუშინ სოფ. კავთისხევიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** პოლიცმეისტერისა და ქალაქის გამგეობაში დღეიდგან ყოველდღე ნაშუადღევის ორ საათამდე იქნება ხოლმე მუშაობა. აქამდე კი მხოლოდ ნაშუადღევის პირველ საათამდე იყო მუშაობა.

*** სიღნაღის მაზრის დ. ველისციხის მცხოვრებელთ უთხოვნიათ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისთვის, რომ ფოსტის გზის სადგური მუკუზანიდგან ველისციხეში იქმნას გადატანილიო. ველისციხე მუკუზანიდგა სულ $1^1/_2$ ვერსის მანძილზეა. ამ სადგურის სადგომები მუკუზანში ამ ჟამად ისე დაძველებულა თურმე, რომ ინგრევა და საჭიროა ახალი შენობა იქმნას აგებული. ველისციხელები დაჰპირებიან, ოღონდ სადგური ველისციხეში გადმოიტანეთ და ალაგს სადგურის შენობისთვის უფასოდ დაგითმობთ და ამ შენებაშიაც შეგეწევითო.

*** სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტის უფროსი ბ-ნი მასსალსკი გუშინ ყარაიაზს გაემგზავრა ბამბის მინდვრების დასათვალიერებლად.

*** ახალციხის მაზრაში 29 აგვისტოს სეტყვა მოსულა და დიდი ზარალი მიუცია მცხოვრებელთათვის.

*** ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები მოხდება 8 სექტემბერს.

*** ქ. ტფილისში ჩამოვიდა შინამრეწველობის კომიტეტის საქმის-მწარმოებელი ბ ნ პანამარიოვი. ამიტომ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას განუზრახავს წევრთა საზოგადო კრება მოახდინოს, რომელზედაც სჯა იქნება კავკასიის მხარის შინა-მრეწველობის საქმის გაუმჯობესების შესახებ. ვ. ნ. პონამარიოვი გუშინ იმერეთს გაემგზავრა ტფილისიდგან შინა მრეწველობის დასათვალიერებლად.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ლორიის ზურგის ბატალიონის პორუჩიკს თ. ჯორჯაძეს, რომელსაც განჯის ხაზინის ბუჰგალტერის ლაზარევის მოკვლა ჰბრალდებოდა, სასამართლომ გადაუწყვიტა ენისეის გუბერნიაში გარდასახლება საცხოვრებლად. ეხლა მათმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, რომ ამ სასჯელის ნაცვლად თ. ჯორჯაძე დაპატიმრებულ იქმნას ექვსის თვით და ამასთან ჩამოერთვას ზოგიერთი სამსახურით შეძენილი უფლება და უპირატესობანი.

*** სექტემბრის თვიდგან ანჩის-ხატის ტაძართან დაარსდება ერთ-კლასიანი საეკლესიო სამრევლო სკოლა.

# ფელეტონი

**ბიოგრაფიული ცნობანი ყოვლად უსამღვდელოესის ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის შესახებ**

უმაღლესის ბრძანებით ახლად დანიშნული ალავერდის მღვდელ-მთავრად, ქართლ-კახეთის მეორე ქორეპისკოპოსად, ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი, ერის კაცობაში სტატსკი სოვეტნიკი გიორგი საძაგლიშვილი, არის მღვდლის იერონიმეს შვილი. მამა მისი იყო მისიონერად მთიულეთში. პაპის-პაპა გაბრიელ საძაგლიშვილი წარმოადგენს ისტორიულ ადამიანს. იგი მოხსენებულია, როგორც მხნე მისიონერი საქართველოს ეპარქიის ისტორიაში (უწმიდესის სინოდის გამოცემა, 1826 წ., გვერდი 85). პაპის-პაპის-პაპა ბესარიონ მე-18 საუკუნეში იყო მისიონერად დიდოელებსა, ინგუშებსა და ქისტებს შორის.

ყოვლად სამღვდელო არის გორის მაზრიდგან, შთამომავლობით ქართველი და ქართლელი. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო გორის სასწავლებელში, შემდეგ სწავლა დაამთავრა ტფილისის სემინარიაში (1876 წ.) და შევიდა, უმაღლესის სწავლის მისაღებად, კიევის აკადემიაში. აქ დაასრულა მან სწავლა ღვთის-მეტყველების კანდიდატობის ხარისხით 1880 წ. და იმავე წელს, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის განკარგულებით, განმწესებულ იქმნა ინსპექტორის თანაშემწედ ოდესის სემინარიაში, 1883 წელს იგი განსვენებულის, საქართველოში ექსარხოსად ყოფილის, ყოვლად უსამღვდელოესის პავლეს-მიერ გადმოყვანილ იქმნა კახეთში თელავის სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ და საღმრთო რჯულის მასწავლებლად.

ამ დროიდგან ყოვლად სამღვდელო არ განშორებია საქართველოს არე-მარეს: მასა ვხედავთ ჩვენ ხან კახეთში, ხან ქართლში, ხან იმერეთში. მისი მოქმედების ასპარეზი რთული და მრავალ-ფეროვანია. თუმცა პატარა ჰქვა უპყრია ხელში, მაგრამ მუდამ სავსეა იგი „მირონითა კეთილ სუნნელოვანითა და თაფლითა ტკბილ თა გემოვნებით". 1883-ის წლიდგან ვიდრე 1890 წლამდე იგი ასრულებდა არა ერთხელ ზედამხედველის და მის თანაშემწის თანამდებობას ქართლ-კახეთში: ჯერ თელავის, მერე გორის სასწავლებლებში. ხოლო 1890 წლიდგან ვიდრე 1896 წ. იგი მასწავლებლობს იმერეთ-ამერეთში: ჯერ ქუთაისის, მერე ტფილისის სასწავლებლებში. არ დარჩა თითქმის საგანი, რომელიც არ ესწავლებინოს, ამ ხნის განმავლობაში, ყოვლად სამღვდელოს: იგი ასწავლიდა კატეხიზმოს, საღმრთო ისტორიას, რუსულს სამოქალაქო ისტორიას, გეოგრაფიას, რუსულს ენას, ქართულს ენას ან სხვ.

თუ რომ გავითვალისწინებთ, რა ჯაფას თხოულობს რიგიანად თუნდა ერთის საგნის შესწავლა, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რა დიდი შრომა და მხნეობა უნდა დასჭირებოდა ყოვლად სამღვდელოს, მით უფრო, რომ ყოველს საგანს იგი ეძლეოდა სრულის გულითა და სულით.

ყოვლად სამღვდელო არ ეკუთვნის იმ მასწავლებელთა გუნდს, რომელნიც, რაკი აუხსნიან მოსწავლეს გაკვეთილს, სრულიად შესრულებულად სთვლიან თავისს მოვალეობას. არა, მას აგრე როდი ესმის თავის თანამდებობის მაღალი დანიშნულება. პირ-იქით, სრულს თავის ძალ-ღონეს ანდომებდა, რომ გაეხალისებინა მოსწავლე, გაეხსნა მისთვის თვით-ცნობიერების სურვილი და შეეყვარებინა მისთვის საგანი. ამ აზრის მისაღწევად ხშირად ძალიან მცირე დროს უთმობდა გაკვეთილის გამოკითხვა-გამოძიებას. წინაამდეგ, საკვირველის ხელოვნებით უკითხავდა იგი მოსწავლეთ წიგნებს, უამბობდა ყურადღების მიმზიდველსა და მომხიბვლელს ამბებს, ავარჯიშებდა, ახლოვნებდა მათ საგნების გათვალისწინება-აღწერისა და მის დასურათხატების საქმეში და სხვ.

აი მიზეზი, რადაც უყვარდათ ასე გატაცებით ყოვლად სამღვდელო კირიონი (გ. საძაგლიშვილი) თავისს მოსწავლეებს, განურჩევლად ქალთა და ვაჟთა ყველგან, სადაც-კი მას მოხდომია მასწავლებლობა.

თავისის პირდაპირის მოვალეობის გარდა, ყოვლად-სამღვდელო ასრულებდა ამ ხნის განმავლობაში, ბევრს სხვა საქმესაც. 1883 წ. თელავის სამოსწავლო ოლქის სამღვდელოთა კრება ირჩევს მას სარევიზიო კომიტეტის წევრად უწყებულის სასწავლებლის ანგარიშების გასარჩევ-შესამოწმებლად, 1875 წლიდგან ვიდრე 1884 წელიწადამდე.

ამავე დროს იგი ასწავლიდა რუსულს სამოქალაქო ისტორიას თელავის საქალებო წმ. ნინოს სასწავლებელში. იყო წევრად კომისიისა, არჩეულის უწყებულის სასწავლებლის წიგნთ-საცავის წეს-რიგის შესამუშავებლად და გორის მაზრის ზემონიქოზის და წმიდა მიხაილ მთავარანგელოზის ეკლესიის კომიტეტის წევრად. ამ მხრივ გულმოდგინე მზრუნველობისათვის მიეცა მას ლოცვა-კურთხევა წყალობის წერილითურთ უწმიდესის სინოდისაგან.

სინოდის საქართველოს კანტორის 24 სექტემბრის 1896 წ. განკარგულებით იგი დანიშნულ იქმნა ქართულ დაბადების ტექსტის შემასწორებელ კომიტეტის წევრად.

ნოემბერს 1896 წ., როგორც ვთქვით, გიორგი საძაგლიშვილი აღიკვეცა ბერ-მონაზონად კირიონის სახელით. ძალიან მალე და ადრე განვლო მან მონაზონობის საფეხური,—ხარისხნი. 3 ნოემბერს იგი აღკვეცილ იქმნა მღვდელ-დიაკონად; რამდენისამე დღის შემდეგ—მღვდელ-მონაზონად. ერთის თვის შემდეგ (9 დეკემბერს 1896 წ.), ყოვლად-უსამღვდელოესის, ექსარხოსად ყოფილის საქართველოში, აწ მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტის ვლადიმირის შუამდგომლობის თანახმად, განწესებულ იქმნა, უწმიდესის სინო-

საქართველოს საეპარქიო სასწავლე-ბელთა საბჭოს ყოველ წლივ ამ სკოლის შესანახად 150 მან. გადაუდვია.

*** სექტემბრის თვიდგანვე ტფილისის კალოუბნის ეკკლესიაში დაარსებულ იქნება ერთკლასიანი საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, მხოლოდ ვიდრე დაწყებული შენობა დასრულდებოდეს, სწავლა ეკკლესიის შენობის ერთს ოთახში იქნება, სადაც ეხლა ეკკლესიის მსახურნი სცხოვრობენ.

*** სასულიერო უწყებას მსჯელობა აქვს იმის შესახებ, რომ ქორწინების დროს, გარდა იმ მოწმობებისა, რომელიც საეკკლესიო წესდებით არის დაკანონებული, წარსადგენად მოითხოვონ ხოლმე მკურნალის მოწმობა ჯვარის დასაწერთა ჯანმრთელობის შესახებ.

*** 5 სექტემბრიდგან დანიშნულია ქ. გორში კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს სესია. იქიდგან სესია 15 სექტემბერს თემირხან შურას წავა.

*** წმ. პეტრე პავლეს ეკკლესიასთან დაარსებულ სამზრუნველოს აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას საქართველოს ექსარხოსის წინაშე იმის შესახებ, რომ მიეცეს სამზრუნველოს სესხად 2,000 მანეთი სასაფლაოს მოსაწყობად და საეკკლესიო-სამრევლო სკოლისათვის ახალის შენობის ასაგებად.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის სახელმწიფო თეატრი გაიხსნება 20 სექტემბერს. ამ დღეს დასდგამენ ოპერას „რუსალკას“. ამ თეატრში ბ-ნ ფარინას მოუწვევია ორი დასი: რუსული და იტალიანური. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი კალიგარისა, ოლგინასი, სამოილოვისა, იდა მარტელონი, ბაულინისა, კამპადიოკასი, პეტროვისა, კრავეცისა, ვოლინა და ბ-ნნი: გვეცე, ბორისენკო, კასტანიანი, არციმოვიჩი, მაქსაკოვი, კამიონსკი, დელატორრე, ზვანცევი, ჩიროტტი, ტრუბინი, გაგაენკო, გეცევიჩი, კარგარეთელი და სხვ. კაპელმეისტრებად იქმნებიან: ბ-ნნი პაგანი და ბარბინი. ბალეტს 10 ბალერინა და ორი მოცეკვავე კაცი შეადგენს, ხორში 24 კაცი და 23 ქალი იქმნება. რეჟისორად დანიშნულია ი. ი. ფითოევი. პარტერის ალაგების ფასი ამ წელს დაუკლიათ, ე. ი. პარტერის მე-9 რიგის ბილეთი და ამფი თეატრის 1 რიგის ბილეთი ორ მანეთის მაგივრად მანეთ-ნახევრად გაიყიდება. ბელ-ეტაჟის ლოჟები ბალკონად გადაუქცევიათ, გვერდების ლოჟებში თითო საჯდომი მოუმატებიათ.

*** წრევანდელი წელიწადი ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთათვის ერთს საუკეთესო ნაყოფიერ წელიწადად უნდა ჩაითვალოს. სასტატისტიკო ცნობებიდგან სჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიაში 60,000 ფუთზედ მეტი აბრეშუმის პარკი მოსულა.

*** ახლად დაარსებულ სომეხთა საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში საგნებს ასწავლიან იმ პროგრამით, რა პროგრამითაც სამინისტროს ერთკლასიანსა და ორ-კლასიანს სკოლებში ასწავლიან, განსხვავება მხოლოდ ის იქმნება, რომ სომხურ ენას ყველა კლასში კვირაში 6 გაკვეთილი ექმნება დათმობილი. იმ სკოლებში, რომელნიც სომეხთა ეკკლესიის ხარჯით იქმნება დაარსებული, მიიღებენ მხოლოდ სომეხთა შვილებს, ხოლო იმ სკოლებში, რომელთათვის მთავრობა ან კერძო საზოგადოებაც გადაიხდის ფულს,—ყველა ეროვნების შვილნი იქმნებიან მიღებულნი. მასწავლებელნიც აგრეთვე სომხები იქმნებიან, სხვა ეროვნების მასწავლებელს მოიწვევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკმაო სომეხი მასწავლებელი არ აღმოჩნდა.

*** ამას წინად მოყვანილი გვქონდა ტფილისის გუბერნიის ზოგიერთა ტყის უფროსების მიერ შეკრებილი ცნობები გზების მდგომარეობის და იმათი აზრი ამ გზების გაუმჯობესების შესახებ. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ეს ცნობები ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ მოითხოვა. მოგვყავს კიდევ სხვა ტყის უფროსების აზრიც. სიღნაღის ტყეების უფროსის აზრით, საჭიროა გამართულ იქმნას გზა სიღნაღსა და სოფელ ჯიმითს და კაკაბეთს შუა და შეერთებულ იქმნას ის გზა, რომელიც ზაქათალის ოლქიდგან მუღანლოს ხიდზედ სიღნაღში მიდის.

შირაქის ტყის უფროსის წინადადებით უნდა შეკეთდეს თექურმიშიდგან არბოშიკში მიმავალი გზა, რადგანაც სოფლებს ამ გზით მოაქვთ შირაქის მინდვრიდგან სხვა-და-სხვა მრავალი მასალა.

გორის სატყეო ნაწილში, ამ ნაწილის უფროსის მოხსენებით, საჭიროა შემდეგის გზების შეკეთება: 1, ჯავის ხეობაში, სადაც უგზოობისა გამო ზამთრობით მისვლა-მოსვლა შეუძლებელია; 2, მანო-მახვის ხეობაში; 3 თეძამისა და თეძმის-ხევის ხეობაში და 4, საციციანოში.

ბორჩალოს ტყის ნაწილში შეკეთება გზებისა: სოფ. მანგლისიდგან წალკაზედ ქალ. ახალ-ქალაქამდე.

*** მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ შავის ქვის მწარმოებელთ ამას წინად შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ შავის ქვის გადატანის ბაჟი დაეკლოს. სამინისტრომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას მოსთხოვა თავისი აზრი ამ საგნის შესახებ. ეხლა, გაზ. „კავკასის“ სიტყვით, გამგეობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ბაჟს 4 კ. უნდა დაეკლოს ე. ი. 6 კაპეიკად გახდესო. გამგეობის აზრით ამაზედ მეტად ბაჟის დაკლება შეუძლებელია, რადგანაც, იმის გამო, რომ შავის ქვის მწარმოებელთა შორის ერთობა არ არის, კავკასიის შავის ქვის ფასი ერთი ორად უფრო დაეცემა და ეს სარგებლობას მოუტანს მხოლოდ იმათ, ვინც საზღვარ-გარეთ შავს ქვასა ჰყიდულობს, და არა ადგილობრივ მცხოვრებელთაო.

*** „მშაკ“ სწერენ ურუმიიდგან, სადაც ძველ ქალდეველთა შთამომავალი აისორები სცხოვრებენ, რომ იქ მდებარე 39 სოფლებში მცხოვრებთ სომხების 1,800 კომლს თავის დედა-ენა დაუკარგავთ და დღეს ისინი მარტო თათრულად ჰლაპარაკობენო.

*** როგორც „ტფ. ფურ.“ იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ნება-დართული ახალი გაზეთი „Невтяное дѣло“ გამოვა 1899 წლის პირველ იანვრიდგან.

*** გაზ. „Нов.“ სწერს: „რადგანაც ამ ახლო მომავალში ბათუმის ნავთ-სადგურის გაუმჯობესების საქმეს შეუდგებიან, გზათა სამინისტრომ იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც მუშაობა იქმნება, გაგზავნა გენერალ-მაიორი დ. ფ. ქარნიცევიო“.

*** „Зем. Газ.“-ის სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს შეუდგეს შავის ზღვის კავკასიის სანაპიროებზედ დაარსებულ თევზთა სამრეწველოების შესწავლას.

*** ქ. ფოთი. 21 აგვისტოს, საღამოს $11^1/_2$ საათზედ ხალხი მიაწყდა ფოთის რკინის გზის სადგურს. მათ შორის ფოთის ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, პოლიცმეისტერი გოგორიუხინი და სხვანი და მოელოდნენ ხალხის მატარებლის მოსვლას, რომელშიაც ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გრიგოლი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი და აწ ქ. მოსკოვს გადაყვანილი. გამოვიდა თუ არა ყოვლად სამღვდელო მატარებლიდგან, ხალხი ხელზედ ემბოჰა და მისი მეუფება ეტლით წავიდა თ. ჰ. ერისთვის სახლში, სადაც დარჩა 23 აგვისტომდის. 22 აგვისტოს, საღამოს 6 საათზედ, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იყო ფოთის საკათედრო ტაძარში, სადაც მწუხრის შესრულების შემდეგ კათედრის კანდელაკმა კრებულითურთ გარდაიხადა პარაკლისი მისის მეუფების მშვიდობით მოგზაურობისა. აქ მისმა მეუფებამ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და გამოემშვიდობა სამწყსოს: „მშვიდობით, ჩემო სამწყსოვ, თუმცა გშორდებით ხორციელად და მივემგზავრები ცივს ქვეყანაში, მაგრამ სულიერად თქვენთან ვიქნები და მუხლ-მოდრეკით ვილოცავ მოსკოვის ივერიის ღვთის მშობლის წინაშე თქვენთვისო“.

23 აგვისტოს, კვირას, დილის 7 საათზედ, მისი მეუფება მიბრძანდა ფოთის ნავთ-სადგურში, გემი „ნადეჟდა“ თითქმის ორ საათს იდგა. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ხალხი მოგროვდა ნავთ-სადგურთან, რომელნიც უკანასკნელად გამოესალმნენ მის მეუფებას. მისი მეუფება ავიდა გემზედ და გაემგზავრა რუსეთს.

*** ღ. ყვირილა. ქუთაისის მაზრის ღ. ყვირილის საფოსტო კანტორა გადაკეთდა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორად, ასე რომ ამიერიდ-ან ამ კანტორაში დეპეშებსაც მიიღებენ აქეთ-იქით გასაგზავნად.

*** „ტფ. ფურ.“ იუწყება, სოფ. საკორინთლოს (გორ. მაზ.) მცხოვრებელს აზნაურს გიორგი თუხარელს ჩხუბის დროს ხანჯლით დაუჭრია გორისავე მაზრის ს. ამბრევის მცხოვრებელი ნინე ხუბაშვილი. დაჭრილი ძნელად თუ მორჩებაო.

## წერილი ფოთიდან

27 აგვისტო

კიდევ რამდენიმე დღე და ძველი თვით-მმართველობა განახლდება. ასეთი დღეა განახლებისა რვა სექტემბერი. მაშინ უნდა აირჩიონ ახალი ხმოსნები, ქალაქის თავი და გამგეობის წევრნი. ხმოსნებისა-კი რა მოგახსენოთ, საზოგადოება მონდომე-

---

დის ბრძანებით, წინამძღვრად ქვაბთახევის მიძინების მონასტრისა, იგუმენობის ხარისხზედ აღყვანით. 31 დეკემბერს 1896 წ. დაინიშნა საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინად და ინსპექტორად კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა.

როგორც ქართველმა, კარგად მცოდნემ თავისის ერისა და ხალხის სულიერის საჭიროების და მოთხოვნილებისამ, ყოვლად სამღვდელომ კირიონმა უპირველესად მიაქცია ყურადღება სკოლების გამრავლება-გაუმჯობესებას. ინსპექტორად ყოფნის სულ მცირე ხანს ახლად დააარსა: ერთი აცერისხევის ერთ-კლასიანი სამრევლო-საეკკლესიო სკოლა,—სამი სკოლა გადააკეთა ერთ კლასიან სკოლიდგან ორ-კლასიან სკოლად ახალციხისა, გორისა და ტფილისის მაზრებში. ამას გარდა აღაშენა: სამი ეკკლესია საზოგადოების საბჭოს ხარჯით, 19 სამრევლო სახლი; სადგომები სკოლებისათვის აცერისხევში, ვანათში და თიანეთში.

განსაკუთრებითი ყურადღება ყოვლად-სამღვდელო კირიონისა, მის ინსპექტორად ყოფნის დროს, იყო მიქცეული იმაზედ, რომ უზრუნველეყო ნივთიერად და განეუკეთესებინა მასწავლებელ ქალთა და ვაჟთა მდგომარეობა, მათი ყოფა-ცხოვრება. კიდეც მოიყვანა აღსრულებაში ეს თვისი დანაპირები. ძნელად შევხვდებით აწ უწყებულს სკოლებში იმისთანა მასწავლებლებს, რომელნიც იღებდნენ 350 მ. ნაკლებ ჯამაგირს წელიწადში, ხოლო არიან ისეთებიც, რომელთა წლიური ჯამაგირი მიაღწევს 500 მანათამდე. თითქმის ყოველ სასწავლებელსა აქვს თავისი საკუთარი წიგნთ-საცავი და სამკითხველო. ამ ხელ-შემწყობის გარემოებით, სხვათა შორის, აიხსნება ის მოვლენა, რომ ამ სკოლის მოსწავლენი თავისუფლად გადიან ხშირად აქედგან არდონის სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე სხვა სასულიერო და სამინისტროს სასწავლებლებში.

თავის მრავალ ნაყოფიერის და მრავალ სასარგებლო მოქმედებით ყოველ ამა სარბიელზედ მღვდელმთავარმა კირიონმა, დიაღ რომ სამართლიანად, დაიმსახურა საზოგადო სიყვარული და პატივის-ცემა.

იმ ღვაწლის გამო, რომელიც მიუძღვის ყოვლად სამღვდელო კირიონს ქრისტიანობის უძველეს ნაშთთა ხატვასა და სამეცნიერო მის შესწავლა-გაცნობაში, საიმპერატორო მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებისაგან იგი ამორჩეულია წევრად კორესპონდენტად ამა საზოგადოებისა.

წმ. მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ძმობის დადგენილების თანახმად ყოვლად სამღვდელო არჩეულ და დამტკიცებულ იქმნა ამ საზოგადოების სამუდამო წევრად.

ამავე ხანს (1896 წ. აპრილს) აღრჩეულ და დამტკიცებულ იქმნა იგი ტფილისის სიძველეთა საცავის კომიტეტის წევრად.

ამ ნაირი სასარგებლო მოქმედება ყოვლად სამღვდელო კირიონის, რასაკვირველია, არ დარჩა უყურადღებოდ უწმიდესის სინოდის მხრივ. 10 მაისს 1898 წ. იგი აღყვანილ იქმნა არხიმანდრიტის ხარისხზედ, ხოლო ერთის თვის შემდეგ (17 ივნისს 1898 წ.) უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ ალავერდის მღვდელ-მთავრად, ქართლ-კახეთის მეორე ქორ-ეპისკოპოსად.

ყოვლად სამღვდელო დიდის ხნიდგან ჰმოღვაწეობს სამშობლო და რუსულ მწერლობაში. მას აქვს ნაწერები დაბეჭდილი გაზეთებში: „ივერია“-სა, „მწყემს“-სა, „კავკას“-სა, „ახალ მიმოხილვა“-სა, „მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების შრომაში“ და სხვ.

უმთავრესი მისი წერილები, წიგნები და წიგნაკები შემდეგია.

1) Св. Равно-апостольная Нина, просвѣтительница Грузіи; 2) Св. царь Миріанъ Хосроіанъ, первый христіанскій вѣнценосецъ Грузіи; 3) Переводъ священн-богослужебныхъ книгъ на груз. языкѣ и значеніе его для грузинской церкви; 4) Описаніе метехскаго четвероевангелія; 5) Историко-археологическій очеркъ метехскаго храма; 6) Двадцативѣковая религіозная борьба православной грузіи съ исламомъ; 7) О грузинскомъ пѣніи; 8) Рѣчь о заслугахъ грузинскаго монашества и монастырей для отечественной церкви и общества; 9) Послѣдній эпизодъ изъ вѣковой борьбы православной грузіи съ мусульманами-шіитами; 10) Исторія и древности цромскаго Вознесенскаго храма; 11) Ананурскій богородичный соборъ и его окрестныя достопримѣчательности; 12) Обозрѣніе карталинскихъ церквей Высокопреосвященнымъ Владиміромъ, экзархомъ грузіи съ историко-археологическими замѣчаніями; 13) Давидъ III, Возобновитель, царь грузіи; 14) О святыхъ отцахъ грузинской церкви: Антоніѣ отдиночикѣ; 15) Св. Або, мученикѣ; 16) Лозовый крестъ св. Нины, просвѣтительницы грузіи въ связи съ вопросомъ о значеніи креста, какъ знаменія въ языческомъ мірѣ; 17) О Храмахъ: цросмкомъ, метехскомъ, никозскомъ и Оконскомъ; 18) Теорія словесности и исторія грузинской литературы (лекціи, читанныя въ Епархіальномъ училищѣ); 19) გიორგი მთაწმინდელი, როგორც სასულიერო პოლიტიკოსი; 20) თამარ დიდი და მისი სახელწოდება; 21) Характеръ грузинской (Иверской) церкви и ея значеніе для православія; 22) Іуда, въ древней Иверіи и проч.

აქვს რა მდიდარი წიგნთ-საცავი, მან არა ერთი და ორი ჩვენის ისტორიისა და წარსულის ცხოვრების შესწავლისათვის ძვირფასი ნივთი შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ საცავს“ და სიონის სობოროსთან დაარსებულს მუზეუმს.

ერთს მაღალ თვისებას მის სულისა და ხასიათისას შეადგენს კიდევ ის, რომ მის საღარო შეადგენს საზოგადო კუთვნილებას. ვითომ დაგვჭირდოთ რაიმე წიგნი, ან სამეცნიერო მასალა, როდესაც მიმართავთ. პირ-იქით, თითონ რომ სჭირდებოდეს, ჯერ თქვენ დაგაკმაყოფილებთ და შემდეგ თითონ მოიხმარებს.

ამ ჩვენს მცირე შენიშვნას, ახლად განმწესებულის, ყოვლად-სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის შესახებ, დავაბოლავებთ ჩვენის მწერალ მგოსანის შემდეგის სიტყვებით: „კაცი ის არის, ვისაც გულითადი რწმენა რისამე აქვს ქვეყნის საკეთილოდ მის-მიერ აღიარებული და იმ რწმენას ემსახურება თავ-დადებით“.

ა. ნ.

ბულია, რომ უფრო ღირსეულნი გაათეთრონ და უღირსნი გააშავონ, ხოლო რაც შეეხება გამგეობას, თამამათ შემიძლიან ვთქვა, რომ მოცილე არავინა ჰყავს და ჩვენში ვერც უკეთესს იპოვნიან ასარჩევათ, ამიტომ ისევ ძველები დარჩებიან, მარტო იმ გარჩევით, რომ ხელ-ახლათ საარჩევანო ყუთებს დაიდგამენ და ახლათ გათეთრდებიან. 26 აგვისტოს საკანდიდატო წერილები შეაგროვეს. ქალაქის მოურავს ნ. ნიკოლაძეს არც ერთი საწინააღმდეგო ხმა არ ამოსვლია. 193 საკანდიდატო წერილებიდგან გამგეობის წევრთ ბ-ნმა ჯალალოვმა 190 ხმა მიიღო და ლ. ყრუაშვილმა 183 ხმა. რაც შეეხება ხმოსანთა კანდიდატთა დასახელებას, წელს ვერც ამ მხრივ ვუსაყვედურებთ საზოგადოებას, რადგან იგი უფრო აშკარად ჰმოქმედობს და არა მალულად.

ასეთს მდგომარეობაშია ქალაქის არჩევნები, ხოლო რაც შეეხება სხვა აქაურ ავ-კარგს, ბევრი გვაქვს სალაპარაკო, მაგრამ ეს შემდეგისათვის გადავდოთ და ეხლა მომისმინეთ ის ცხელი ამბავი, რომელმაც ფოთელების გული გაახარა. დღეს სარწმუნო წყაროდგან შევიტყეთ, რომ ოდესის ნავთ სადგურიდგან უკვე გამოვიდა ფოთის ნავთ-სადგურისათვის მიწის სათხრელი მანქანა. მანქანა შეხედულობით თურმე დიდს გემს წარმოადგენს და თან მოაქვს ყველა ის მოწყობილება და იარაღი, რომელიც საჭირო იქნება ნავთ სადგურზედ მუშაობის დროს. ნავთ-სადგურის აშენებელ „ამხანაგობის" ინჟენერს ბ-ნს სკარჟინსკის თურმე იმედი აქვს ამ მანქანის შემწეობით ისე დააჩქაროს მუშაობა, რომ მაისამდის გააკეთოს შიდა-აუზი ნავთ-სადგურისა და რამდენსამე გემს შეეძლოს ნავთ-სადგურთან მოსვლა დაცლა-დატვირთვისათვის. დღემდის ნავთ-სადგურის საქმე კუს ნაბიჯით მიდიოდა, ამისი უმთავრესი მიზეზი ამ ვეებერთელა მიწის სათხრელი იარაღის უქონლობა იყო. გზათა მინისტრის განკარგულებით, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ნაბრძანები აქვს ნავთ-სადგურისაკენ მიმავალ ლიანდაგს სხვა გზა უჩვენოს, რადგან იმ ალაგს ნავთ-სადგური დაიჭერს. ამ ჟამად პორტის ამგები ინჟენერიც უკვე ჩამოვიდა და აქ დასახლდა. ეჭვი არ არის, რომ რამდენისამე დღის შემდეგ ნავთ-სადგურში გახურებული მუშაობა გაჩაღდება.

ი. იანეთელი

# რუსეთი

21 აგვისტოს შესდგა და დაიწყო მოქმედება კიევში რუსეთის ბუნების მეტყველთა და მკურნალთა მე-X კრებამ. ამ კრების წევრთა რიცხვი 1,585 კაცს აღემატება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პროფესორი ბუნგე, თავმჯდომარეს ამხანაგებად აკადემიკოსი ბეკეტოვი და პროფესორი კლოსოვსკი, ხოლო მდივნებად პროფესორები: რეფორმატსკი და დე-მეტცლი. ცალკე სექციებში რამდენსამე პროფესორს უკვე წაუკითხავს მოხსენება. მათ შორის საზოგადო ყურადღება მიუქცევია ვ. ე. იგნატიევის მოხსენებას: „როგორი გავლენა აქვს ეგზამენებს მოსწავლეებზედ". ბ-ნ იგნატიევის აზრით, ეგზამენებს ისეთივე გავლენა აქვს მოსწავლეებზედ, როგორი გავლენაც რომელსამე ხანგრძლივ ავადმყოფობასა აქვს ხოლმე. ეგზამენის დროს მოსწავლეს სხეული უდუნდება, ნერვები უსუსტდება და სუნთქვა უძნელდება. საზოგადოდ ამ დროს მთელი აგებულობა მოსწავლისა არა ჩვეულებრივ მდგომარეობაშია ხოლმე.

— როგორც ვუწყით, ბაზარში იშვიათად შეხვდებით კარგსა და სუფთა თაფლს. ვაჭრები ხშირად ურევენ სხვა-და სხვა წამლებს და ამ რიგად აფუჭებენ. როგორც საზოგადოების მიერ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს, მეფუტკრეები, რომელნიც კარგ თაფლსა ჰყიდიან, მეტოქობას ვეღარ უწევენ თაფლის სხვა ვაჭრებს. რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოებას ეხლა აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ მთავრობამ შესაფერი ღონე იღონოს, რათა აღარავის შეეძლოს შერეულის და ყალბის თაფლის გაყიდვა.

— საერო განათლების სამინისტრო შუამდგომლობს, რომ 1899 წელს პირველ დაწყებით სასწავლებლებისათვის ერთი მილიონი მანეთი იმაზედ მეტი იქმნას გადადებული, რასაც წინა წლებში გადასდებდნენ ხოლმე.

— საფრანგეთის ერთს ამხანაგობას აზრადა აქვს დააარსოს პეტერბურგში მონიეს სისტემის საწერ მანქანების მკეთებელი ქარხანა. ქარხანა მოქმედებას მომავალის წლიდგან დაიწყებს. თითო მანქანა 100 მანეთზედ ძვირად არ გაიყიდება.

— წელს ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში მიღებულ იქმნა სულ 185 სტუდენტი. სტუდენტთა შორის ყველაზედ ბევრი სამკურნალო და იურიდიულ ფაკულტეტზედ, შემდეგ, ყველაზედ ნაკლები საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტზედ, სახელდობრ 2 კაცი.

— ამ ჟამად, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა ახალი პროექტი იმის შესახებ, რომ ქალაქებს თვით მთავრობამ გრძელვადიანი სესხი მისცეს ხოლმე. საჭირო ცნობების შეკრებას ამ პროექტის შესადგენად სამინისტრო უკვე შეუდგა. როდესაც პროექტს სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია განიხილავს, სამინისტრო სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთების სიტყვით, საფრანგეთის მცხოვრებელთა აზრი და გონება ისე არასოდეს არ შეუპყრია და გაუტაცნია ერთს რომელსამე საგანსა და საქმეს, როგორც ეხლა დრეიფუსის საქმემ გაიტაცა. ყველა, დიდი და პატარა, ამ საქმის უკანასკნელ ამბების შესახებ ლაპარაკობს. ყველას დრეიფუსი, ანრი, ზოლა, ესტერგაზი აკერია პირზედ. ანრის გამოტეხის შემდეგ უმეტესობა ეხლა სულ სხვა თვალით უყურებს ამ საქმეს. მაშინ, როდესაც წინად, თითო-ოროლა წინდახედულის და პატიოსანის მამულიშვილის გარდა, ყველა გაიძახოდა დრეიფუსი მოღალატეა და განონიერად არის დასჯილიო, დღეს კვლავ კაცობრიობა სულ სხვას ამბობს: იქნება მართლა საგენერალო შტაბმა განგებ, სხვათა გადასარჩენად, დასაჯა უდანაშაულო დრეიფუსიო? ასე თუ ისე, დღეს ყველა სულით და გულით არის მოწადინებული, რომ რაც შეიძლება მალე შეუდგნენ დრეიფუსის საქმის ხელ ახლა განხილვას. ამას ეხლა თვით საგენერალო შტაბის გაზეთებიც-კი თხოულობენ. წინააღმდეგის მხოლოდ ორი სამი გაზეთი და ორი სამი გენერალი, როგორც, მაგალითად, სამხედრო მინისტრად ნამყოფი გენერალი პელიე, რომელიც დღესაც არ იშლის და გაიძახის, რომ დრეიფუსი მოღალატეო. დასახელებული გაზეთები ანრის გამოტეხის შემდეგ თუმცა პირდაპირ ვეღარა ჰხედავენ და ვეღარ ამბობენ, რომ დრეიფუსი დამნაშავეა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან და გაიძახიან, რომ ამ საქმის ხელ-ახლა განხილვა შეუძლებელია, რადგანაც, თუ ის საბუთის ქაღალდები გამოაქვეყნდა, რომელიც გერმანიასა და იმის იმპერატორს შეეხება, საფრანგეთისა და გერმანიის შორის უეჭველად ომი ასტყდებაო. გაზეთები ამით მთავრობასა და ხალხს დაშინებას აპირებენ, მაგრამ ეხლა იმათ ლაპარაკს ყურადღებას აღარავინ აქცევს. მთავრობა, პირ-იქით, იძულებულია ყოველივე გამოაშკარავოს და ამ საქმის განხილვას შეუდგეს. აი, რას სწერს გაზეთი „Aurore": „კავენიაკმა და საფრანგეთის მთავრობამ თავისდა უნებურად დაიწყო გამოძიება და სიმართლის გამოაშკარავება. იგინი აიძულეს ასე მოქცეულიყვნენ. რამდენისამე ხნის წინად გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს ბერლინიდგანა და რომიდგან შემოუთვალეს, რომ თუ თქვენ კიდევ უარზედ დადგებით და სიმართლეს არ აღიარებთ, ჩვენ იძულებული ვიქნებით გამოვაქვეყნოთ ის საბუთის ქაღალდები, რომელიც ესტერგაზიმ გერმანიის სამხედრო აგენტს შვარცკოპენს მიჰყიდა და რომელთა გამოც დრეიფუსი დასაჯეთო. ამ ამბის მიღებისთანავე დელკასე ჩქარა წავიდა პრეზიდენტთან მოსალაპარაკებლად. არ გასულა ორი-სამი დღე, რომ სამინისტრო საქმის გამოკვლევას შეუდგა".

— გაზ. „Bur. Herold"-ის სიტყვით, პარიჟში ხმა დადის, რომ მთავრობამ გარდასწყვიტა დაპატიმროს როგორც ესტერგაზი, აგრეთვე პოლკოვნიკი პატი-დიუ-კლამი. „Goulois"-ი უმატებს: „სამხედრო სამინისტრომ ოფიციალური ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ ესტერგაზიმ გადასწყვიტა გამოტყდეს „ბორდო" მე ვარო".

— საგენერალო შტაბის ახალი უფროსი გენერალი რენუარი დაიბადა 1836 წელს, მაშასადამე დღეს იგი 62 წლისაა. სამსახური დაიწყო 1855 წელს ყირიმის ომის დროს. 1863 წელს კაპიტნობა მიიღო, ხოლო 1895 წელს — დივიზიის გენერლობა, შემდეგ უმაღლესის სამხედრო სასწავლებლის უფროსად იქმნა დანიშნული.

**ევროპის სახელმწიფოთა ჯარი.** გაზ. „Times"-ში იარაღის აურის შესახებ დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც ავტორს შემდეგი საყურადღებო ცნობები მოჰყავს სახელმწიფოთა ჯარის რაოდენობის შესახებ: რუსეთს ამ ჟამად შეიარაღებული 2,392,327 კაცი ჰყავს, ხოლო ომის დროს შეუძლიან გამოიყვანოს 6,000,000 კაცი. იმის სამხედრო ბიუჯეტი 43,539,111 გირვანქა სტერლინგია, გარდა ამისა ყოველ წლიურად ვალის სარგებელს იხდის 42,790,340 სტერლინგს, ე. ი. სულ სამხედრო საქმეს წლიწადში 86,329,451 გირვ. სტერ. ანდომებს. გერმანიას ერთის წლის შემდეგ 3,093,500 ჯარის კაცი ეყოლება. ვალი აქვს 155,349,916 გირ. სტ. სარგებელს იხდის 24,930,250 გირ. სტ. სამხედრო საქმეს 66,606,014 გირ. სტ. ანდომებს. საფრანგეთსაც ახლო მომავალში ეყოლება 4,190,000 ჯარისკაცი და ფლოტი, რომელიც ევროპის არც ერთს სახელმწიფოს ფლოტს არ ჩამოუვარდება. ვალი აქვს 1,265,748,804 გირ. სტ. სარგებელს იხდის 52,022,767 გირ. სტ. სულ სამხედრო საქმეს ანდომებს 88,435,176 გირ. სტ., ავსტრო-უნგრეთს ჰყავს 1,813,414 კაცი. ვალი — 545,313,950 გირ. სტ. სარგებელს იხდის 12,863,481 გირ. სტ. სამხედრო საქმეზედ ყოველ წლიწადს 39,195,769 მანეთს იხდის. იტალიის ჯარი 2,852,323 კაცისაგან შესდგება. ვალი — 449,262,660 გირ. სტ. სარგებელს იხდის — 23,159,393. სამხედრო საქმეს 39,314,398 გირ. სტ. ანდომებს.

მკითხველებს უფრო ნათლად შეუძლიანთ წარმოიდგინონ რა დიდძალი ფული უნდება შეიარაღების საქმეს, თუ ზემოდ ჩამოთვლილ მილიონებს ცხრაზედ გაამრავლებენ (გირვანქა სტერლინგი დაახლოვებით 9 მანეთია).

**ინგლისი და გერმანია.** ამ ბოლოს დროს ძლიან ალაპარაკა გაზეთები „Poll Mall Gar."-ში დაბეჭდილმა იმ ამბავმა, რომ ინგლისმა და გერმანიამ ურთიერთ შორის სამეგობრო კავშირი დასდო. გაზეთების სიტყვით, მოლაპარაკება ამ კავშირის შესახებ დიდი ხანია დაიწყეს, ხოლო ხელ შეკრულებას წარმომადგენლებმა ამ რამდენისამე დღის წინად მოაწერეს ხელი. ხელ-შეკრულების ძალით, თუ ერთ მოკავშირე სახელმწიფოს ომი მოუხდა, მეორეც ვალდებულია დაეხმაროს. საზოგადოდ ყველა საშიშო საქმეში მოკავშირენი ერთმანეთის მხარი უნდა დაუჭირონ და დაეხმარონ. ამ კავშირს ყველა გაზეთები დიდს საპოლიტიკო მნიშვნელობას აძლევენ.

# ნაკვესი

— ამ თვეს დამცადეთ, თქვენს ვალს ვერ გარდავიხდით.

— რა ვქნა, სახლის ქირა დამედო და ქვეშ გამო ვერ გამისტუმრებია.

— აი, ხომ ჰხედავთ! თქვენ თქვენს ვალებს არ იხდით და სხვას-კი სთხოვთ! ეგ კარგი არ გახლავთ! აგრე რიგიანი ადამიანი არ მოიქცევა! მე ეხლა მრცხვენიან, რომ თქვენთან ნაცნობობა მაქვს! ნახვამდის!..

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დედამიწის ზურგზედ რაც-კი რამ არის ნივთი, ან თხელია წყალივით, ან მაგარი და ან კიდევ გაზს წარმოადგენს. ადვილად შესაძლებელია, რომ ყოველგვარმა ნივთმა თავისი სახე იცვალოს: მაგარი ნივთი სითხედ გადიქცეს, სითხე გაზად, ან კიდევ მაგარ ნივთად. მაგალითად, ავიღოთ წყალი: თუ ვადუღეთ, ორთქლად გადიქცევა და თუ ძლიერ გავაციეთ, ყინულად. აგრედვე ადვილია ყინულისა და ორთქლის წყლად გადაქცევა.

როგორც წყლის გადაქცევაა შესაძლებელი ორთქლად, ან ყინულად, ისე გაზის გადაქცევა შეიძლება წყლად.

ეს აზრი დიდი ხანია გამოთქვა აწინდელის ქიმიის დამაარსებელმა ლავუაზიემ. ლავუაზიე ამტკიცებდა, რომ თუ რომელსამე გაზს სითბო გამოვაცალეთ, ან უნდა გამაგრდეს, ან წყლად იქცესო. ეს აზრი სახელოვანის ქიმიკოსისა მხოლოდ 1878 წელს გამართლდა. თითქმის ერთსა და იმავე დროს პიკტერმა და კალიეტამ წყლად აქციეს სხვა-და-სხვა გვარი გაზი. ამას შემდევ ქიმიკოსები შეუდნენ იმის ცდასა და ფიქრს, რომ როგორმე სითხედ გადაექციათ ჰაერი. ქიმიკოსმა დიურარმა (ლონდონში) კიდევაც გადააქცია ჰაერი წყლად, მაგრამ იმის მიერ მოგონილი საშუალება ძლიერ ძნელია, ბევრს დროსა, შრომას და დიდძალ ფულსა თხოულობს და ამიტომ ამ გამოგონებით ვერავინ ისარგებლა. ამავე საქმეს მოჰკიდა ხელი ერთმა ამერიკელმა, გვარად ტემპლერმა და ათის წლის გამუდმებულის შრომის შემდეგ გამოიგონა ისეთი საშუალება, რომლითაც ადვილად და იაფად შეიძლება ჰაერის გადაქცევა სითხედ.

ეს სითხე უფერულია და ცოტათი ცისფერი გადაჰკრავს. თუ ცოტა ხანს დარჩა, თანდათან მუქდება. ჰიქაში რომ ჩაასხათ, იმ წამსვე დუღილს დაიწყებს და იმავე დროს ჰიქა ცივდება და გარედგან ორთქლდება.

რამდენად შეუძლიან ამ სითხეს გაჰყინოს ყველაფერი, რასაც-კი მოხვდება, შემდეგი მაგალითი ამტკიცებს: ერთი ნაჭერი ხორცისა რომ ჩასდოთ გაწყალებულ ჰაერში (ЖИДКІЙ ВОЗДУХЪ), ისე გაიყინება და გამაგრდება, როგორც ქვა, შეიძლება ამტვრიოთ და დაფხვნათ კიდეც. ერბო, კვერცხი, ხილი და სხვა ამ გვარი გაწყალებულის ჰაერით შეიძლება მტვრად აქციოთ. სპირტი და ვერცხლის წყალიც იმავე სითხის საშუალებით შეიძლება ყინულად გადავაქციოთ. ყველა ეს მეტად საოცარია. გაწყალებული ჰაერი ერთსა და იმავე დროს თითონაც სდუღს და ყველაფერს, რასაც-კი მიაკარებთ, ყინულად აქცევს. უფრო საოცარია შემდეგი: გაწყალებულს ჰაერში რომ ერთი ნაჭერი ყინული ჩააგდოთ, იმ წამსვე დუღილს დაიწყებს. ჩაიდანში რომ ჩაასხათ, პირიდგან ისე ძლიერად წამოვა ორთქლი, რომ კარგა ძლიერს მანქანას ამუშავებს.

სხვა ბევრი საოცარი თვისებაც აქვს სითხედ ქცეულს ჰაერს. მოგეხსენებათ, რომ მატყლი არ იწვის, მხოლოდ ჰხრჩის ალოდ და ცუდი სუნი უდის. სულ სხვა მოხდება, მატყლი რომ სითხედ ქცეულის ჰაერით გაიჟინთოს. ერთს წუთში იფეთქებს თოფის წამალივით და ჩაიწვება. უფრო საკვირველია შემდეგი: ტემპლერმა გაწყალებულს ჰაერში ჩასდო ფოლადის მავთული, რომელიც ერთს წამში შიგ დადნა.

ეჭვი არ არის, რომ ეს საოცარი თვისებანი გაწყალებულის ჰაერისა მრავალ-გვარად გამოსადეგი იქმნება ადამიანისათვის. რკინის გზის მატარებელს და გემებს ეხლა ორთქლი ამოძრავებს. ორთქლის მანქანისათვისკი საჭიროა წყალი, შეშა, ან ნახშირი, ან ნავთი. ამიერიდგან-კი შეიძლება ისეთი მანქანა გაკეთდეს, რომელიც გაწყალებულის ჰაერით ამოძრავებს მატარებელსაცა და გემსაც. მაშინ აღარ იქმნება საჭირო მატარებლითა ან გემით თან ატარონ წყალი, შეშა, ან ნახშირი და ნავთი. რამდენად ცოტა ადგილს დაიჭერს გემზე ან მატარებელზე გაწყალებული ჰაერი, ეს იქიდგანა სჩანს, რომ 800 კუბიკური ფუტი (კუბიკურ საჟენის მე-343 ნაწილი) გაწყალებული ჰაერი დაიჭერს მხოლოდ ერთის კუბიკურის ფუტის ადგილს.

მაგრამ უფრო ძლიერ გამოსადეგი იქმნება გაწყალებული ჰაერი ჰაერში საფრენ მანქანისათვის. აქამდე თუ ჯერ ვერ მოუგონიათ და ვერ გაუკეთებიათ ჰაერში საფრენი მანქანა, ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ამ გვარ მანქანებს იმდენი ძალა არა აქვთ, რომ ჰაერში თავის-თავის გარდა კიდევ დიდი ტვირთი აიტანონ, ე. ი. წყალი, შეშა, ნახშირი ან ნავთი. ეხლა-კი, რადგანაც გაწყალებულს ჰაერს ძლიერ ცოტა ადგილი უჭირავს და ამასთანავე ძლიერ სუბუქიცაა, ეჭვი არ არის, რომ მალე გააკეთებენ ჰაერში საფრენ მანქანას.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 აგვისტო

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია უმაღლესი რესკრიპტი, მისის უმაღ-

ლესობის გენერალ-ადმირალის სახელობაზედ, რომელსაც მადლობა აქვს გარდახდილი სევასტოპოლის შავის ზღვის ფლოტისა და სანავთ-სადგურო დაწესებულებათა მდგომარეობისათვის.

**პარიჟი.** ის ხმები, ვითომ ცურლინდენს უკვე გარდაეწყვიტოს აზრი დრეიფუსის საქმის შესახებ, ადრეულია. ცურლინდენი განაგრძობს დრეიფუსის საქმის შესწავლას და თავისს გარდაწყვეტილებას გამოაცხადებს დიდ ალლუმებიდგან დაბრუნების შემდეგ, რომელზედაც ფორთან ერთად მიდის.

**მადრიდი.** აქ იმ აზრისანი არიან, რომ როდესაც კენჯს უყრიან მშვიდობიანობის ჩამოგდების ოქმის შესახებ კანონს, რაც მომავალს კვირას იქმნება,—საგასტას სამინისტრო თავს დაანებებს სამსახურსაო. იმასაც ამბობენ, რომ კაბინეტის გადადგომას საგასტას დასის მოსპობა მოჰყვებაო.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინ ყანდიაში კვლავ ცეცხლი მძვინვარებდა. ინგლისის მხედართა უფროსი ქალაქს ყუმბარებს უშენდა. გალტიდგან მოსულთ ინგლისის 250 ჯარისკაცთ ქალაქში ვერ შეაღწიეს.

30 აგვისტო

**ჟენევა.** 29 აგვისტოს, შუადღისას, ნავთ-სადგურზედ, „ბორივაჟის“ სასტუმროს მახლობლად იტალიანელმა ანარქისტმა ავსტრიის იმპერატრიცას ხანჯალი დასცა. იმპერატრიცა მაშინვე გარდაიცვალა ისე, რომ გონს არც-კი მოსულა.

**მადრიდი.** კაბინეტი უეჭველად დაეცემა.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: „ლი-ხუნჩანი ჯერ-ჯერობით კიდევ ასრულებს დიდის მდივნის თანამდებობას. უთუოდ ლი-ხუნ-ჩანი თვითონ დაასწრობს დათხოვნას და სამსახურს თავს დაანებებს. ამბობენ, ვითომ ლი-ხუნ ჩანმა ცზუნ-ლი-იამენი შეცდომაში შეიყვანაო“.

**ჟენევა.** სადამოზედ იმპერატრიცას მკვლელმა ლუკკენმა გამოუცხადა გამომძიებელს: ჟენევაში იმიტომ მოვედი, რომ რომელიმე წარჩინებული კაცი მომეკლაო. წინათ აზრადა მქონდა მომეკლა ჰერცოგი ორლეანელი, მაგრამ შემდეგ, ზოგიერთის მიზეზებისა გამო, ამ განზრახვას თავი გავანებე. ის ამბავი, რომ იმპერატრიცა ელისაბედი ჟენევაში იყო, შემთხვევით შევიტყე. მკვლელობა მოხდა Mont Blanc-სა და სასტუმროს შუა, ჰერცოგის ბრაუნშვეიგელის ძეგლის მახლობლად. მკვლელი, რომელსაც თან ვიღაც გძელ წვერა მოხუცი მისდევდა, იმპერატრიცისაკენ გაემართა, უცბად მიჰვარდა და მაჰხვილი დასცა. პირველად ეგონათ, რომ მუშტი შემოჰკრაო. იმპერატრიცა, გამვლელთა და იმ ქალის დახმარებით, რომელიც თან ახლდა, ფეხზედ წამოდგა, მაგრამ რა წამს გემზედ ავიდა იმ წამს გონება დაჰკარგა. რადგანაც იმპერატრიცა გონს ვეღარ მოიყვანეს, ამასთან სისხლიც შეამჩნიეს, გემი უკან დაბრუნდა. ნაპირზედ ავადმყოფი ხელად მომზადებულ ტახტზედ დასდეს და სასტუმროში წაიყვანეს. იმპერატრიცა ნაშუადღევის 3 საათზედ გარდაიცვალა. მკურნალთა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მკვლელს ხანჯალი უხმარია. დაუკრავს რა ხანჯალი, მკვლელი გაქცეულა, მაგრამ ორს მეეტლეს, რომელთაც მკვლელობა დაუნახავთ, შეუპყრიათ და პოლიციისთვის გარდაუციათ. მკვლელი ხმა-ამოუღებლივ გაჰყოლია პოლიციელებს.

**რეტიმო.** კანდია აჯანყებულ მეამბოხეთა ხელშია. სახელმწიფოთა ჯარი ციხეშია, რომელსაც ბაშიბუზუკები ახვევიან. ნავთ სადგურში სდგას საერთაშორისო ესკადრა. 1,000 მცხოვრებელთაგან 300-სმა მოასწრო და გემებს შეაფარა თავი, 300-სმა ქალაქს თავი მიანება, დანარჩენნი ამოწყვიტეს. ქალაქისკენ მოდიან მახლობელ პროვინციებიდგან შეიარაღებული ქრისტიანენი. ამბობენ, რომ ინგლისელები სხვა ერთა დახმარებით სასტიკ ზომებს მიიღებენო. ქალაქში წესიერება არ იქმნა დარღვეული, რადგანაც რუსებმა მაშინვე თადარიგი დაიჭირეს. კრებას, რომელსაც დაესწრნენ ოსმალთა მოხელენი, მაჰმადიანთა სამღვდელოება, ნოტაბლები და მახლობელ პროვინციების მაჰმადიანნი, ადმირალმა სკრიდლოვმა ურჩია ყოველი ღონე იღონეთ, რომ მაჰმადიანთ წესიერება დაიცვანო. მაჰმადიანთა წარმომადგენლები დაჰპირდნენ დახმარებას. ამასთან სთხოვეს, ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას ყურადღება მიაქციეთო. იმედი აქვთ, რომ წესიერება დაცული იქმნება. შეიძლება დიდი არეულობა მოჰყვეს იმას, თუ ქრისტიანეთ უარი განაცხადეს და დროებით გამგეობა არ მიიღეს. რუსეთიდგან ჯარს მოელიან.

31 აგვისტო

**კანეა.** ინგლისის ორმა სამხედრო ხომალდმა ჯარი ყანდიაში გადაასხეს კანეაში მშვიდობიანობაა.

**ბერნი.** იმპერატრიცას მკვლელი ლუკკენი დაბადებული პარიჟში, ხოლო შთამომავლობით პარმიელია. იგი განსამართლებულ უნდა იქმნას ჟენევაში მომქმედ სისხლის სამართლის კანონებით. რომლითაც ამისთანა, დანაშაულისათვის, სიკვდილით დასჯა-კი არა, სამუდამო საპატიმრო დადგენილი. პარიჟის პოლიციას არავითარი ცნობები არ მოეპოვება ლუკკენის შესახებ, ხოლო იგი კარგად იცნობა ვიღაც ნიკეზი-ლუჩჩეზის, „რავაშოლად“ წოდებულს, სტუდენტს, 1875 წ. დაბადებულს, რომელსაც ბოლონიის პოლიცია დიდი ხანია დაეძებს, ვითარცა საშიშ ანარქისტს. მაინც-კი შესაძლებელია, რომ იგი არ იყოს იმპერატრიცას მკვლელი.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტომ“ გამოაქვეყნა შემდეგი: „გენერალმა ცურლინდელმა გარდასცა სარიენს dossier-ი დრეიფუსის შესახებ თავისის დასაბუთებულ და საბოლოო აზრითურთ. ორშაბათს შეიკრიბება მინისტრთა საბჭო და საბოლოოდ მოილაპარაკებენ, თუ რა გარდაწყვეტილებას უნდა დაადგეს.

**ჟენევა.** იმპერატრიცა შვეიცარიაში ჩამოვიდა სულ რამდენისამე დღის წინად და პირველს ხანსკოში სცხოვრობდა, ხოლო შემდეგ ჟენევას მოვიდა. ფარულის სახელით ეწვია რა ბარონ როტშილდის მეუღლეს, იგი კოიშივე დაბრუნებას აპირებდა. იმპერატრიცას ამალა უკვე წასული იყო კოიში, ასე რომ იმპერატრიცას ახლდა მხოლოდ ერთი სეფე-ქალი და ერთიც ხელის მოსამსახურე, როდესაც პოლიციის კომისსარმა ობერმა გამოჰკითხა, მკვლელმა განაცხადა, რომ ჟენევაში მოვედი, რადგან იმედი მქონდა ორლეანის პრინცს აქ მოვასწრობდიო, ხოლო რადგან იგი წარსულიყო და აღარ ჩამოვიდა, ევიანში წავედი, სადაც კვლავ იმედი მქონდა შევხვდებოდი პრინცსაო. რა კი დავრწმუნდი, რომ ჩემი მოლოდინი შემცდარი იყო, ჟენევაში დავბრუნდი და აქ წავიკითხე, რომ იმპერატრიცა მოდის ქალაქშიო. რადგან შემთხვევა მქონდა იმპერატრიცას ბუდაპეშტში ნახვისა, ამიტომ ადვილად შემეძლო თვალყური მედევნებინა. პარასკევს ყოველს იმისს ნაბიჯს თვალ-ყურს ვადევნებდი, მაგრამ ვერსად მოვიხელთე. შაბათს ადრიან დილითვე თვალყურს ვადევნებდი, რაც ამბავი იყო „Reau Riflaqe“-ს სახლს. ორის ნახევარზედ შევნიშნე, რომ მოსამსახურე გამოვიდა და Mont Rlanc-ის ნავთსადგურისაკენ წავიდა. ამითი ვცანი, რომ იმპერატრიცა გემით აპირებდა წასვლას. სასტუმროს პირდაპირ დავდექი, ხეების მოფარებით და დაუწყე ლოდინი იმპერატრიცას. იმპერატრიცაც ჩქარა გამოჩნდა, თან მხოლოდ სეფე-ქალი მოსდევდაო. დანარჩენი უკვე ცნობილია. ჩვენების დროს ლუკკენი მეტად ურცხვად და თავ-ხედად იქცეოდა.

**პარიჟი.** „Xiqaro“ და „Matin“-ი შესაძლებელადა სთვლიან განაცხადონ, რომ ცურლინდენი წინაღმდეგია დრეიფუსის საქმის ხელ-ახლად განხილვისა და სამსახურს თავს დაანებებს, თუ მისნი ამხანაგნი იმისს აზრს არ დაეთანხმნენო. „Matin“-ი დასძენს, რომ რა-კი ასეა სამხედრო სამინისტროს გამგეობას ბრისონი ჩაიბარებს და იგივე იკისრებს გადასინჯვის პასუხის-მგებლობასაო.

**ბერნი.** იარაღი, რომლითაც იმპერატრიცაა მოკლული, ხარაზის მახათი აღმოჩნდა.

**ვენა.** განკარგულებაა გაცემული, რომ უკანასკნელი საეკკლესიო წესი იმპერატრიცას 3 სექტემბერს გარდაუხადონ, 4 სექტემბერს კუბოში ჩაასვენებენ, ხოლო 5 სექტემბერს მიწას მიაბარებენ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც შემოსწირეს ქ. ბაქოში ჩემდამო რწმუნებულს ქართულ-რუსულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს სხვა-და სხვა ქართული და რუსული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. შემოსწირეს: „ქ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ 97 ც. ქართული წიგნები ღირებ. 50 მან., ქ-ნთ მარიამ მიხეილის ასულმა ლოლობერიძისამ ქართული და რუსული წიგნები და ჟურნალები, ღირებული 15 მან. და 60 კ. და ერმონია დიმიტრის ასულმა მკერვალიშვილისამ 19 ცალი რუსული და ქართული წიგნები, ღირებული 10 მან. 10 კაპ., ბ-ნთ ალექსანდრე ბერელაშვილმა ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ღირებული 25 მან., პ. ვ. დზუბენკომ 1894—1895 წლის ჟურნალი „Русская Мысль“, ღირებული 24 მან., გარსევან კახიანმა—რუსული და ქართული წიგნები და ჟურნალები, ღირებული 12 მან. 60 კაპ., ნიკო დოლიძემ—19 ცალი ქართული და რუსული წიგნი, ღირებული 10 მან. 80 კაპ., გრიგოლ კოპინაშვილმა 1892 წ. „ივერია“ ყდაში, ღირებ. 10 მან., ილარიონ თაყაიშვილმა—13 ცალი ქართული და რუსული წიგნი, ღირებ. 9 მ. 55 კაპ., პანტელეიმონ ჭანიშვილმა—რუსული წიგნები და სხვა, ღირებული 5 მ. 45 კაპ., ნესტორ მარჯანიშვილმა—9 ცალ რუსული და ქართული წიგნი, ღირებ. 3 მ. 15 კაპ., დიმიტრი გვაზუხავამ—8 ცალი ქართული წიგნი, ღირებული 2 მ. 55 კაპ., ივანე საგანაძემ—3 ცალი ქართული წიგნი, ღირებ. 2 მ. 40 კ., ივანე იმედაშვილმა 6 ცალი ქართული წიგნი ღირებ. 1 მან. 3 კ., ერმილე კობალაძემ—„განთიადი“, ღირებ. 1 მანეთად; უცნობმა—3 ქართული წიგნი, ღირებ. 65 კ., ალექსი მეხუზლამ—5 ცალი ქართული წიგნი, ღირებ. 50 კაპ. და ბესარიონ ლეონიძემ 1 წიგნი „მაცი ხვიტია“, 40 კაპ.

აგრეთვე მივმართავთ თხოვნით ყველა ჩვენის ხალხის განათლების მოკეთე-მსურველს, ნუ დაიშურებენ და შემოსწირონ თითო-ოროლა წიგნი ხემოხსენებულ სამკითხველოს შემდეგის ადრესით: Въ Баку, Русско-грузинской библіотекѣ-читальнѣ.

წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დამაარსებელი
დ. მკერვალიშვილი

---

# განცხადებანი

## სენაკის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

ამ სასწავლო წლისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში 35 ვაკანსიაა თავისუფალი, მეორეში—11, მესამეში—9 და მეოთხეში—16.

თხოვნების მიღება აგვისტოს 28-დგან დაიწყება; თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობანი ნათლობისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა, რომ მოსწავლის მშობლები ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლებიან, ან იმისი საბუთი, რომ თავად-აზნაურთაგანნი არიან.

ხელ-მეორედ გამოსაცდელი მოსწავლენი უნდა გამოცხადნენ 29-სა და 30 აგვისტოს, ახლად მისაღებთათვის-კი ეგზამენები ვაკანსიების შევსებამდე განიგრძობა.

თუ თავად-აზნაურთა შვილებმა ვაკანსიები ვერ შეავსეს, მაშინ გლეხთა შვილებიც მიიღებიან, მხოლოდ სწავლების ქირა გარდახდებათ ქუთაისის და სენაკის სკოლათა სამზრუნველოს გარდაწყვეტილებისამებრ 6-დგან 12 მანეთამდე.

შესაძლებელია ამავე წელში 1 კლასიც დაარსდეს სამეურნეო განყოფილებითურთ: ამ ჟამად მზადდება პროგრამმა და იწერება მოხსენება ამ განყოფილების დაარსების შესახებ. სწავლა 5 სექტემბრიდგან დაიწყება.

სკოლის მმართველი ს. ყიფიანი
(6—6.—2)

## ფოთის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს ამომრჩეველთა საცნობელად, რომ საარჩევანო კრება ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამოსარჩევად სამის წლის ვადით, 1898—1902 წლებისა დაიწყება 8 სექტემბერს 1898 წ., დილის 9 საათიდგან ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამომრჩევლებისაგან ხმოსნების თანამდებობაზედ კენჭის საყრელად დასახელებულნი არიან შემდეგი კანდიდატები, რომელნიც წინადადებულნი არიან ქვემოდ დასახელებულ ხმის რაოდენობით. (სულ წარმოდგენილი იყო 193 სია):

ნიკოლაძე ნ. ი. (ქალაქის მოურავი)—139 ხმა; ჰასან-ჯალალოვი ი. გ. (გამგეობის წევრი)—196 ხმა; კრუაშვილი ლ. მ. (გამგეობის წევრი)—184 ხმა; ტერ-ნიკოლოსოვი ნ. ა.—182 ხმა; ლოლობერიძე ი. დ.—173; რუეაძე კ. ე.—172; ალხაზოვი მ. გ.—168; მენდელი მ. ბ,—167; დიდია გ. ნ.—156; მიქაბერიძე კ. ი.—155; ხუმარაძე ხ. პ.—149; ანდღულაძე მ. გ.—148; კაუხჩევი კ. ი.—148; პილიდი დ. ვ.—147; კილურაძე ნ. ს.—141; ჩოჩუა სოლომონი—134; მამიჩეიშვილი ნ. ს.—128; სტავრიდი გ. ს.—124; ხოშტარია ა. ი.—123; პრავედნიკოვი ა. ა.—122, ქავთარაძე ს. ბ.—122, საბახტარიშვილი ა. რ.—116; პლოხოტნიკოვი ვ. ლ.—115; გროდსკი მ. ი.—114; გოგინავა ს. დ.—113; საბახტარიშვილი ბ. რ.—107; ჟვანია ა. ა.—103; შაფათავა პ. ე.—103; თოფურიძე ვ. ი.—99; გრიგოლია დ. გ.—91; ეგორშევი პ. ს.—91; მეიერი ვ. რ.—88, ჯაიანი ვ. ი.—82; სიორიძე ნ. გ.—82; გაბელია ბეჩუ ტ.—80, ჩოჩუა სამსონ—80, ალანია ა. ა.—76; ფანცულაია დ. ს—76; კალანდაძე ი. გ.—75; ტკაჩენკო ნ. ფ.—75; ხუნჯუა ი. ს.—75; ტეროვაკიმოვი გ. ს.—72; კაკუტია ბახვა—72; ანცევი ი. გ.—70; ლოლუა ა. დ.—68; გუგუშვილი ა. დ.—66; გუგუშვილი ე. ნ.—63; გუგუშვილი დ. ნ.—62; მამფრია ი. ე.—62; არუთინოვი მ. ხ.—59; გაბუნია ე. მ.—59, გეძევსკი ი. ვ.—58, გაბუნია გაიოზი—56, ესაკია მ. ვ.—53, მაკალათია დ. ნ.—52, გაბელია ე. დ.—51, კაჩარავა ა. ხ.—50, პერედერა ვ. ნ.—48, ასათიანი ი. ი.—47, კონოვალოვი ლ. ვ.—45, ხოშტარია, ს. თ.—43, თურქია ი. თ,—42, ტერეშენკო ი. ი.—41, კაგაროვი ბ. ი.—39, ბერეჟიანი ს. ბ.—38, ბაპირო დ. გ.—38, მოისენკო ა. ა.—37, კიგურაძე ამ. ტ.—31, ცალქალამანიძე ი. ი.—31, მაღნარაძე კ. ს.—30, ინასარიძე კ. ე.—29, კიზირია პ. ი.—29, შტენცელი ი. ო.—28, ხარაზოვი ვ.—27, ბარკალაია, ა. ს.—26, კოჩერგინი კ. დ.—26, ბახმეტიევი ა. პ.—15, მახარაძე კ. ხ.—14, გაბელია ბახვა—13, ურუშაძე სტ. გ.—13, ბჟალავა სამს.—12, კიზირია კოსტა—12, ნეკრასოვი ი.—12, ბოგინავა ბ. კ.—11, გრიგოლია ა. დ.—11, ჯორბენაძე ა.—10, ჩაჩავა კ. ტ.—10, ჰყონია ს. თ.—10, გოგუაძე დ.—9, ქართველიშვილი ნ.—9, ხოპერია ა. ნ.—9 ლუკაშევიჩი ი. კ.—8, ბრელიძე რ. ე.—7, ლესნიცკი ო. მ.—7, ჩხარტიშვილი ი.—7, ელიავა დ. გ.—7, კანოვიჩი დ. კ.—6, ნედოსვიატი ა. ი.—6, ვარძელოვი ს. ი.—5, გუგუშვილი ტ. ხ.—5, ჯოჯუა ტ. ო.—5, სარდაროვი ს. ვ.—5, ტუღუში, დარისპ.—5.

ქალაქის გამგეობა 5 სექტემბრამდის მიიღებს განცხადებას კანდიდატისაგან, საარჩევანო ყუთის დადგმის სურვილის შესახებ.
(3—6.—1)